ცხოვრების დონე და საარსებო მინიმუმი

ნათელა ჯანელიძე
სტუ-ს დოქტორანტი

ორ ათეულ წელზე მეტია საქართველოში ძალზე მწვავედ დგას მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პრობლემა. იგი მუდამ შედიოდა საზოგადოებისთვის ყველაზე მტკივნეულ საკითხთა სამეულში. საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე საქართველომ ვერ მიაღწია არათუ საბჭოურ ნიშნულზე მაღალ მაჩვენებლებს, არამედ სოციალური უზრუნველყოფის იმდროინდელ დონესაც კი. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ საზოგადოებაში ხელისუფლების მიმართ არსებულ პრეტენზიათა შორის სოციალური მოთხოვნები კვლავ პირველ ადგილზეა. უდავოა, რომ დღეს ამ მხრივ უკეთესი ვითარებაა, ვიდრე 1990-იან წლებში; მაშინ სახელმწიფო ვერ ახერხებდა ხელფასების, პენსიების და შემწეობების გაცემას. დავალიანებები გროვდებოდა თვეების და ზოგჯერ წლების განმავლობაში, ხოლო თავად პენსიები და დახმარებები სიმბოლური იყო. დღეს ხელისუფლება ახერხებს თავისი ვალდებულებების დროულად შესრულებას, თუმცა თავად ვალდებულებები, ისევე როგორც მთლიანად სოციალური უზრუნველყოფის ფორმები და მოცულობა, კვლავ ინარჩუნებს სიმბოლურ და ხშირ შემთხვევაში დამამცირებელ ხასიათს.

სოცუზრუნველყოფის ეფექტური სისტემის შექმნა შეუძლებელია ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესწავლისა და ღრმა გააზრების გარეშე. იქ სადაც პოლიტიკური კონიუნქტურა მართავს სტატისტიკას, ვერ მოხერხდება ადამიანთა ყოფის ნამდვილი სურათის დახატვა და მოქმედების სწორი გეგმის შემუშავება. რეალური საარსებო მინიმუმის განსაზღვრა სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ამოსავალი და საფუძველია. აშკარაა, რომ ოფიციალურად გაცხადებული მონაცემები არ შეეფერება სინამდვილეს, მაგრამ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ჭეშმარიტების რანგში ავიყვანთ, აშკარა გახდება, რომ საარსებო მინიმუმი, როგორც სოცუზრუნველყოფის სისტემის ეფექტურობის ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმი, დღეს სრულიად უგულებელყოფილია. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ მას მინიმალურ ხელფასსა და პენსიას შევადარებთ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საარსებო მინიმუმმა 2012 წლის თებერვალში 156,2 ლარი შეადგინა. ანუ ერთმა შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცმა ერთი თვის განმავლობაში უნდა იმყოფინოს 156 ლარი. საშუალოდ, სამსულიან ოჯახს, ასევე 2012 წლის თებერვლის მონაცემებით, საარსებო მინიმუმად განსაზღვრული აქვს 249,0 ლარი, რაც იმავე პერიოდის შარშანდელ მაჩვენებელთან შედარებით 4 ლარით არის შემცირებული.

ახლა გადავხედოთ ხელფასებს (ცხრილი1): ოფიციალურად საქართველოში საშუალო ხელფასი 2011 წელს 712,9 ლარი იყო. სამწუხაროდ, სტატისტიკის ეროვნული სამსახური არ განმარტავს თუ რა კრიტერიუმებით ითვლის საშუალო ხელფასს ქვეყანაში.

ფაქტია, რომ ხელისუფლება ცდილობს ხელოვნურად დასწიოს საარსებო მინიმუმიც და უმუშევართა რეალური ციფრიც, პარალელურად კი გაზარდოს დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასის ოდენობა. მაგალითად ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ქვეყანაში დასაქმებულთა 60%-ზე მეტი სოფლის მეურნეობაში შრომობს. მაგრამ ყველასათვის ცნობილია, რომ დღეს ქართული სოფელი ცხოვრობს არა ფერმერობითა და პლანტატორობით, არამედ პენსიით, რადგანაც იქ რეალურად დარჩენილი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სწორედ საპენსიო ასაკშია. სოფლის მეურნეობა შესაძლოა ამ გლეხებს დაეხმაროს მხოლოდ იმაში, რომ პროდუქტის გაყიდვით საარსებო მინიმუმამდე შეივსონ თანხა, რომელსაც პენსიის სახით იღებენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში პენსია 110 ლარამდეა, შეიძლება მარტივად დავასკვნათ, რომ მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილისათვის (838,5 ათასი პენსიონერი-

ცხრილი 1. საშუალო ნომინალური ხელფასი

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, ლარი	156.6	204.2	277.9	368.1	534.9	556.8	597.6	712,9

სათვის) ამ თანხებით დამოუკიდებელი არსებობა შეუძლებელია.

თუ სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს დავუჯერებთ, საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესებულია, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ საარსებო მინიმუმი მინიმუმზე დაბალია და საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაზრდილია ზოგიერთი მაღალანაზღაურებადი პროფესიების ხარჯზე.

საარსებო მინიმუმი დგინდება მინიმალური საარსებო კალათის საფუძველზე. მინიმალური საარსებო კალათა არის კვების პროდუქტების განსაზღვრული ნორმატიული კალათა, რომელიც შეიცავს შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის ნორმალური სიცოცხლისა და შრომისუნარიანობისათვის ფიზიოლოგიურად აუცილებელი საკვების რაოდენობას, მისი შემადგენელი ელემენტების (ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების) კალორიულობის მინიმალურ ოდენობას. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საარსებო მინიმუმს ანგარიშობს იმ მინიმალური საარსებო კალათის მიხედვით, რომელიც განსაზღვრული და დადგენილია „საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.

მოვახდინოთ სარსებო მინიმუმის ღირებულების დათვლა 2012 წლის მარტის საბაზრო ფასების მიხედვით. საწყის ეტაპზე ხორციელდება შრომისუნარიანი მამაკაცის სასურსათო კალათის თვიური შუალედური ღირებულების გაანგარიშება. სასურსათო კალათის თვიური შუალედური ღირებულება წარმოადგენს მასში შემავალი პროდუქტების თვიურ ღირებულებათა ჯამს. ცხრილი 2-ში მოცემულია კალათში შემავალი პროდუქტების დღიური ნორმა შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის.

კალათაში შემავალი პროდუქტების თვიური ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი პროდუქტის თვის ნორმის და ამ პროდუქტის საშუალო ფასის ნამრავლით. ხოლო თითოეული პროდუქტის თვის ნორმა განისაზღვრება დღიური ნორმის საფუძველზე. კალკულაციის შედეგად დგინდება კალათაში შემავალი თითოეული პროდუქტის ღირებულება, რომელთა ჯამი წარმოადგენს მინიმალური სასურსათო კალათის შუალედურ თვიურ ღირებულებას.

ექსპერტების შეფასებით, საარსებო მინიმუმის ოდენობა, რომელსაც სტატისტიკის ეროვნული სამსახური აქვეყნებს გაცილებით მცირეა იმ მაჩვენებელზე, რაც რეალურად უნდა უყოს. თუ საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის სასურსათო და არასასურსათო პროდუქციის თანაფარდობას 50/50-ზე პროპორციით განვსაზღვრავთ, დღეს არსებული ციფრის მიხედვით სურსათზე დანახარჯები გამოდის 109,34 ლარი (156,2 ლარის 70%), თუ ამ მაჩვენებელს ავიღებთ, როგორც 50%, შესაბამისად 50%, ანუ საარსებო მინიმუმის მეორე ნახევარი (არასასურსათო საქონელი) იქნება ასევე 109,34 ლარი, ამ ციფრების მიხედვით საარსებო მინიმუმი გამოდის 218,68 ლარი. რა თქმა უნდა, ეს ბევრი არ არის, მაგრამ რეალობასთნ ცოტა უფრო ახლოსაა. ჩვენ სრულად ვიზიარებთ მათ მოსაზრებას ვინც თვლის, აუცილებელია სასაქონლო ნომენკლატურის გაზრდა. კალათაში ბევრი ისეთი საქონელი და მომსახურებაა შესატანი, რომელიც აუცილებელია ადამიანის არამარტო ფიზიკური არსებობისათვის, არამედ მისი გონებრივი და ინტელექტუალური შესაძლებლობების, უნარების განვითარებისათვის. ეს ნაბიჯი საარსებო მინიმუმის გამომსახველ ციფრს, ბუნებრივია, კიდევ უფრო გაზრდის. ამდენად, გამოდის, რომ საარსებო მინიმუმი საგრძნობლად ჩამორჩება იმ დონეს, რომელიც ოპტიმუმთან ახლოს არის და რეალობას მკაფიოდ ასახავს.

საინტერესოა შევადაროთ ფასების დონე და საარსებო მინიმუმი სხვადასხვა ქვეყნებში. ამ მხრივ მოვიყვანოთ ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და მოწინავე ეკონომიკის მაგალითი. ხშირად, როცა საქართველოს რაიმე ეკონომიკური პარამეტრის მიხედვით ადარებენ რომელიმე განვითარებულ ქვეყანას, არგუმენტად მოჰყავთ, რომ განვითარების დონეების განსხვავების გამო პარალელების გავლება არასწორია. მაგრამ შეფარდებითი მაჩვენებლების გამოყენებით სავსებით შესაძლებელია საქართველო, როგორც განვითარებადი ქვეყანა, შევადაროთ მოწინავე სახელმწიფოებს. ექსპერტ სოსო არჩვაძის განცხადებით, ამერიკაში ერთი ადამიანის საარსებო მინიმუმი წელიწადში 10 830 დოლარს შეადგენს. ეს თვეში 902,5 დოლარი გამოდის. ქართული საარსებო მინიმუმი ამ მაჩვენებლის დაახლოებით 9%-ია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო სავალუტო ფონდის ინფორმაციის მიხედვით საქართველოში არსებული ფასების დონე აშშ-ს ფასების დონის 51%-ია, ზოგან კი ეს მაჩვენებელი 85%-მდეა. გამოდის, ამერიკაში ფასების დონე მაქსიმუმ 2-ჯერ მეტია, ხოლო საარსებო მინიმუმი კი დაახლოე-

ბით 11-ჯერ მეტი. აღსანიშნავია ისიც, რომ აშშ-ში ისეთ პროდუქციაზე, როგორიცაა ბენზინი, ფრინველის ხორცი, სატელეფონო მომსახურება, პური, კვერცხი და ა.შ. ფასები ჩვენთან შედარებით უფრო დაბალია.

საარსებო მინიმუმის მაჩვენებლის ზრდა სულაც არ ნიშნავს, რომ იგი ოპტიმალურ ნიშნულს უახლოვდება. მისი ზრდა მხოლოდ და მხოლოდ ფასების დონის ზრდის გამო ხდება.

საკუთარი გაანგარიშების მიხედვით ერთი თვის განმავლობაში მინიმალური საარსებო კალათის ღირებულება მიმდინარე ფასებში შრომისუნარიანი მამაკაცისათვის ცხრილი 3-ის მიხედვით შეადგენს 4,33*30=129,9 ლარს, მხოლოდ კვებაზე. გარდა კვებისა, ადამიანს არსებობისათვის ესაჭიროება სხვა საქონელი და მომსახურება- არასასურსათო საქონელი, რომელიც შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი აქტით ასეა განაწილებული:

- ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო (5,5%)
- ტენსაცმელი და ფეხსაცმელი (2,7%)
- საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები (8,2%)
- ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება(5,1%)
- ჯანმრთელობის დაცვა(7,5%)
- ტრანსპორტი (12,8%)
- კავშირგაბმულობა (5,6%)
- დასვენება, გართობა და კულტურა (6,8%)
- განათლება (6,1%)
- სასტუმროები, კაფელები და რესტორნები (4,4%)
- მომსახურების ღირებულება სხვადასხვა საქონელი და მომსახურება (5,0%)

2012 წლის მეთოდოლოგიით კვების პროდუქტებისათვის გამოიყენება მთლიანი ხარჯების 30%, ნაცვლად წინა გაანგარიშებაში მოცემული 40%-სა. ე.ი. აღნიშნული არასასურსათო ხარჯები შეადგენს 70%-ს და მარტივი გამოთვლით ფულად თანხაში ეს შეესაბამება 303,1 ლარს. გამოდის რომ ერთი შრომისუნარიანი მამაკაცისათვის საარსებო მინიმუმი ტოლია 129,9+303,1=433 ლარის. ამავე მეთოდიკით ტრანსპორტისათვის საჭირო თანხა ტოლია 38,79 ლარის, საეჭვოა განათლების წილად მოსული 18,48 ლარის გამოყენების მიზნობრიობა, ჯანდაცვაზე მოდის-22,73 ლარი.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 2012 წლის იანვარ-თებერვალში დაახლოებით 157 ლარის ტოლია, ჩვენი გამოთვლებით იგივე მაჩვენებელი უტოლდება 433 ლარს.

როგორც ჩანს, შრომითი რესურსების მიერ შესრულებული სამუშაოსათვის გადახდილი ანაზღაურების სიდიდე ვერ აკმაყოფილებს მათსავე მოთხოვნებს მინიმალურ დონეზე, რომ აღარაფერი ვთქვათ ოჯახის იმ წევრების შენახვაზე, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო (მცირეწლოვნები, სტუდენტები, დეკრეტულ შვებულებაში მყოფნი, პენსიონერები), ვერ ახერხებენ მუშაობას

სახელმწიფომ უნდა გაატაროს ქმედითი ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების სისტემის მოდერნიზაციას და დაიცავს სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორის მუშაკებს შეუფერხებელი ანაზღაურებისაგან.

ჩვენი აზრით, შრომის ანაზღაურების სისტემის მოდერნიზაციისათვის საჭირო გათვალისწინებულ იქნას უცხოეთის მოწინავე საწარმოების გამოცდილება ამ კუთხით.

მსხვილ და მცირე ფირმებში სულ უფრო და უფრო ხშირად გამოიყენება კვალიფიკაციის შესაბამისად აზღაურების სისტემა. რაც უფრო მაღალია თანამშრომლის კვალიფიკაცია, მით უფრო მაღალია მისი ხელფასიც. ასეთი სისტემები სტიმულს აძლევენ თანამშრომლებს გაიუმჯობესოს უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია და ამით ამაღლებენ მათ პროფესიონალურ ვარგისიანობას და ფასეულობას ორგანიზაციისთვის. გაწეული შრომის ანაზღაურება უნდა მოხდეს შესრულებული სამუშაოს, თანამდებობისა და სამუშაო სტაჟის მიხედვით. ეს შესაძლებელია განხორციელდეს შესრულებული სამუშაოს მუდმივი მონიტორინგით. მაგრამ მხოლოდ ამ მიმართულებებზე ყურადღების კონცენტრირება არ არის გამართლებული.

УРОВЕНЬ ЖИЗНИ И МИНИМАЛЬНАЯ ЗАРАБОТНАЯ ПЛАТА

НАТЕЛА ДЖАНЕЛИДЗЕ - докторант ГТУ

В статье рассматривается социально - политической подоплеки населения по доходам. В статье говорится, что политическая конъюнктура, в которых статистика не может быть исключена на истинную картину человеческой жизни и нарисован правильный план. Эти данные были официально объявлены ложными. Минимальная заработная плата, а также эффективность системы социального обеспечения - это метод, полностью игнорируются. Я просто убеждена, если мы сравним номинальную заработную плату с и пенсией 60% сотрудников в этой стране - больше, чем работа в сельском хозяйстве, но сейчас в деревня живет и не фермерством и плантаторством , а пенсией, потому что оставшаяся часть населения пенсионного возраста. Можно легко заключить, что само существование большая часть этих средств не могут быть независимыми.

В статье доказано, что трудовые ресурсы работ для выплаты компенсации сумма не может удовлетворить свои требования к минимальным уровням, не говоря уже о членах семьи, чтобы сэкономить на различных условий (дети, студенты, по беременности и родам, пенсионеры) не может работать.

В заключение было установлено, что правительство должно принять эффективные меры для обеспечения модернизации платежных систем и защиты работников государственного и частного сектора в неправильной компенсации. Должны считаться опытом ведущих зарубежных стран.